დოქტორანტურის ერთი პოზიცია - კონკურსი აპლიკანტებისთვის
„სტრუქტურული განათლება - ხარისხის უზრუნველყოფა - აზროვნების თავისუფლება“
ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლა

I. კონკურსის გამოცხადება

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და **გეორგ-აუგუსტის სახელობის გიოტინგენის უნივერსიტეტის** საერთო პროექტი აძლევს სხვადასხვა სამეცნიერო სფეროს წარმომადგენელ დოქტორანტებს შესაძლებლობას შეასრულონ სადოქტორო ნაშრომი კოტუტელის პრინციპზე დაფუძნებული მოდელით. დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტები შეასრულებენ სასწავლო კომპონენტებს (კურსები, სემინარები, ტრენინგები და ა.შ.) და იმუშავებენ ორი პროფესორის ხელმძღვანელობით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა (თბილისი, საქართველო) და გიოტინგენის უნივერსიტეტში (გიოტინგენი, გერმანია) (საკვლევი პერიოდი გიოტინგენის უნივერსიტეტში მოიცავს სულ 12 თვეს). ერთობლივი სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფს დისციპლინური და ტრანსდისციპლინური უნარ-ჩვევების გამომუშავებას და დოქტორანტის კვლევის ხელმძღვანელობას ორივე უნივერსიტეტიდან წარმოდგენილი პროფესორის მიერ, რომლებიც რელევანტური კვლევის სფეროში გამორჩეული ექსპერტები არიან. სადოქტორო საფეხურის წარმატებით დასრულების შემდეგ დოქტორანტს მიენიჭება სადოქტორო ხარისხი ორივე უნივერსიტეტიდან, ერთი სადისერტაციო ნაშრომის საფუძველზე. **ფოლკსვაგენის ფონდი** და **შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი** უზრუნველყოფენ პროგრამის ფინანსურ მხარდაჭერას და პროექტის მონაწილე დოქტორანტი მიიღებს **სრულ დაფინანსებას** (ყოველთვიური სტიპენდია 500 ევროს ოდენობით, მაქსიმუმ 2021 წლის დეკემბრის ჩათვლით). საკვლევი ვიზიტები გერმანიაში დაფინანსდება დამატებითი სტიპენდიით. ასევე შესაძლებელია ანაზღაურდეს კვლევასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები, მათ შორის საველე კვლევები და კონფერენციებში მონაწილეობა.

II. მეცნიერული მიმართულებები და ხელმძღვანელები

სადოქტორო კვლევა უნდა განხორციელდეს შემდეგი მიმართულებიდან ერთ-ერთში:

1. ზოგადი ენათმეცნიერება (თბილისი: პროფ. თამარ მახარობლიძე; გიოტინგენი: პროფ. მარკუს შტაინბახი)
2. გამოყენებითი ენათმეცნიერება (თბილისი: პროფ. ნინო დობორჯგინიძე, პროფ. ირინა ლობჟანიძე; გიოტინგენი: პროფ. ჰედდე ზეილსტრა, პროფ. ანკე ჰოლლერი)
3. აღმოსავლეთ ევროპის ისტორია (თბილისი: პროფ. ოლივერ რაისნერი; გიოტინგენი: პროფ. ანკე ჰილბრენნერი)
4. ა) რელიგიური და კულტურული კვლევები (თბილისი: პროფ. მალხაზ სონღულაშვილი; გიოტინგენი: პროფ. მარტინ ტამკე)
   ბ) თეოლოგია (თბილისი: პროფ. მალხაზ სონღულაშვილი; გიოტინგენი: პროფ. მარტინ ტამკე)
5. პოლიტოლოგია (თბილისი: პროფ. დავით აფრასიძე; გიოტინგენი: დოქ. ალექსანდერ ტილე)
6. კონსტიტუციონალიზმი (თბილისი: პროფ. გიორგი ნოდია; გიოტინგენი: დოქ. ალექსანდერ ტილე)
7. ტყის ეკოლოგია (თბილისი: პროფ. ალექსანდრე გავაშელიშვილი ; გიოტინგენი: პროფ. ჰოლგერ კრეფტი)

8. ქიმიური ბიოლოგია (თბილისი: პროფ. რევაზ სოლომონია ; გიოტინგენი: პროფ. მიხაელ მიულლერი)
9. გეოფიზიკა (თბილისი: პროფ. ვასილ კუხიანიძე; გიოტინგენი: პროფ. ლორან ჟიზონი)
10. ასტროფიზიკა (თბილისი: პროფ. თეიმურაზ ზაქარაშვილი; გიოტინგენი: პროფ. ანსგარ რაინერს)
11. კოსმოლოგია (თბილისი: პროფ. თინათინ კახნიაშვილი; გიოტინგენი: პროფ. იენს ნიმაიერი)

III. კონკურსში მონაწილეობის წინაპირობები

ზოგადი:

- **სრული დროის დათმობა:** არჩეული კანდიდატი მზად უნდა იყოს თავისი სრული სამუშაო დრო დაუთმოს სადოქტორო კვლევის განხორციელებას. სტიპენდიის სანაცვლოდ კანდიდატისგან მოითხოვება უარის თქმა სადოქტორო პროგრამის პარალელურად სხვა დამატებითი არააკადემიური დასაქმების შესაძლებლობებზე.
- ინგლისური ენის ფლობა უცხო ენების ცოდნის საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) მიხედვით მინიმუმ B2 დონეზე და ინგლისურ ენაზე სადოქტორო საფეხურზე სწავლისა და ნაშრომის დაწერის უნარი
- **მხოლოდ იმ აპლიკანტებისთვის ვისი მშობლიური ენა არ არის ქართული:** ქართული ენის ფლობა უცხო ენების ცოდნის საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) მიხედვით მინიმუმ B2 დონეზე აუცილებელი წინაპირობაა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამებზე ჩასარიცხად და უნდა დაამტკიცოს შესაბამისი ენის გამოცდით.
- განაცხადის გაკეთება შესაძლებელია ასევე იმ პირებისთვის ვისაც უკვე მიღებული აქვს მონაწილეობა ადრეულ კონკურსებში.
- განაცხადის გაკეთება შესაძლებელია ასევე იმ პირებისთვის ვინც უკვე ჩარიცხულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურაში.

დისციპლინური:

1. ზოგადი ენათმეცნიერება

- მაგისტრის ხარისხი (უმჯობესია ზოგად ენათმეცნიერებაში ან მომიჯნავე სფეროში)

2. გამოყენებითი ენათმეცნიერება

- მაგისტრის ხარისხი (უმჯობესია ენათმეცნიერებაში ან მომიჯნავე სფეროში)
- ქართული/ქართველური ენების ცოდნა, საფუძვლები ენათმეცნიერებაში, ლინგვისტური თეორიის ცოდნა

3. აღმოსავლეთ ევროპის ისტორია

- მაგისტრის ხარისხი (უმჯობესია ისტორიაში ან მომიჯნავე სფეროში)
- ხარისხობრივი კვლევითი გამოცდილება (წყაროები, ზეპირი ისტორია, კულტურული კვლევები)

4.ა) რელიგიური და კულტურული კვლევები

- მაგისტრის ხარისხი ფლობა რელიგიური კვლევების მიმართულებაში ან მომიჯნავე სფეროებში, როგორიცაა ფილოლოგია, თეოლოგია ან სოციალური და კულტურული კვლევები.

- უცხო ენების ფლობა:
  - ინგლისური ენის ფლობა უცხო ენების ცოდნის საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) მიხედვით მინიმუმ B2 დონეზე.

    ან ალტერნატიულად
  - გერმანული ენის ფლობა უცხო ენების ცოდნის საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) მიხედვით მინიმუმ B2.2 დონეზე. ამ შემთხვევაში ინგლისური ენის ცოდნა მინიმუმ B1 დონეზე მაინც აუცილებელი წინაპირობაა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინურ სადოქტორო პროგრამაზე ჩასარიცხად.
- წყაროების გამოკვლევის უნარ-ჩვევა კლასიკურ ან თანამედროვე რელიგიურ ფილოლოგიაში (მაგალითად ლათინური, სანსკრიტი, კლასიკური ან თანამედროვე არაბული)
- კვლევისათვის საჭირო უნარ-ჩვევები

4.ბ) თეოლოგია

- მაგისტრის ხარისხის ფლობა თეოლოგიაში ან მომიჯნავე სფეროში
- უცხო ენების ფლობა:
  - გერმანული ენის ფლობა უცხო ენების ცოდნის საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) მიხედვით მინიმუმ B2.2 დონეზე.
  - ინგლისური ენის ფლობა უცხო ენების ცოდნის საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) მიხედვით მინიმუმ B1 დონეზე. ინგლისური ენის ფლობა მინიმუმ B2 დონეზე არის მოთხოვნილი იმ შემთხვევაში თუ სადოქტორო ნაშრომი შესრულებული იქნება ინგლისურ ენაზე გერმანულის მაგივრად. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ გერმანული ენის ფლობა მინიმუმ B2.2 დონეზე მაინც დარჩება აუცილებელ წინაპირობად გიოტინგენის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამაზე ჩასარიცხად.
  - ლათინური, ბერძნული და ებრაული ენების კარგი ცოდნა.
- კვლევისათვის საჭირო უნარ-ჩვევები

5. პოლიტოლოგია

- მაგისტრის ხარისხი (უმჯობესია პოლიტოლოგიაში ან მომიჯნავე სფეროში)

6. კონსტიტუციონალიზმი

- მაგისტრის ხარისხი (უმჯობესია პოლიტოლოგიაში, სამართალში ან მომიჯნავე სფეროში)

7. ტყის ეკოლოგია

- მაგისტრის ხარისხი (უმჯობესია ტყის ეკოლოგიაში ან მომიჯნავე სფეროში)
- სტატისტიკური პროგრამების ფლობა
- წინასწარი მონაცემების მომზადება

8. ქიმიური ბიოლოგია

- მაგისტრის ხარისხი (უმჯობესია მოლეკულურ სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში ან მომიჯნავე სფეროში)
- ძირითადი მოლეკულური ბიოლოგიის მეთოდების ცოდნა/გამოცდილება
- სტატისტიკის მაღალ დონეზე ფლობა
- ელექტროფიზიოლოგიისა და/ან ფლუორსცენტული მიკროსკოპიის ცოდნა/გამოცდილება
- ცხოველებთან მოპყრობის/კვლევის დადასტურებული გამოცდილება

9. გეოფიზიკა

- მაგისტრის ხარისხი (უმჯობესია ფიზიკაში ან მომიჯნავე სფეროში)
- სითხის დინამიკისა და გამოყენებითი მათემატიკის საბაზისო ცოდნა

10. ასტროფიზიკა

- მაგისტრის ხარისხი (უმჯობესია ფიზიკაში ან მომიჯნავე სფეროში)
- მზის ფიზიკის, სტატისტიკური მეთოდებისა და მზის/ვარსკვლავების აქტივობის შესაბამისი ცოდნა

11. კოსმოლოგია

- მაგისტრის ხარისხი (უმჯობესია ფიზიკაში ან მომიჯნავე სფეროში)
- ასტროფიზიკისა და კოსმოლოგიის ცოდნა, ჰიდროდინამიკისა და ელექტროდინამიკის ბაზისების ცოდნა
- საბაზისო უნარ-ჩვევები მეცნიერულ გამოთვლებსა და პროგრამირებაში (მაგ.: C++, Fortran, Python)

კონკურსის ფარგლებში, სოციალურ-ეკონომიკური ან/და ჯანმრთელობის პრობლემის მქონე კანდიდატების მიერ კონკურსში მონაწილეობის მიღება განსაკუთრებით სასურველია და ერთნაირი კვალიფიკაციის, ცოდნის და უნარ-ჩვევების შემთხვევაში, შერჩევის პროცესში მათ მიენიჭებათ შედარებითი უპირატესობა.

ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლა უზრუნველყოფს მონაწილეთათვის თანაბარ შესაძლებლობებს და მათ ჩართულობას, მიუხედავად სქესის, ასაკის, სექსუალური ორიენტაციის, რელიგიის თუ იდეოლოგიის, შეზღუდული შესაძლებლობის თუ ქრონიკული დაავადების, ეთნიკური და სოციალური წარმომავლობისა. ზემოთ ნათქვამი მიზნად ისახავს წაახალისოს მოწყვლადი ჯგუფები და სპეციალური საჭიროების მქონე პირები. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და გეორგ-ავგუსტის გიოტინგენის უნივერსიტეტი აღიარებენ, რომ ფაკულტეტების ყველა წევრი და თანამშრომლები ისევე, როგორც სტუდენტები, საჭიროებენ ისეთ გარემოს, სადაც ისინი პატივცემულნი და დაფასებულნი იქნებიან და შეძლებენ ეფექტურად სწავლასა და მუშაობას. ეს ეხება ყველას, დამოუკიდებლად მათი ასაკისა, შეზღუდული შესაძლებლობისა, გენდერის, სექსუალური ორიენტაციის თუ იდენტობის, ოჯახური თუ სამოქალაქო მდგომარეობისა, ორსულობის, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგისაა და რწმენისა.

V. განაცხადის წარდგენა და ვადები

- განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე. ყველა დოკუმენტი, რომელიც გაცემულია ინგლისურის გარდა სხვა ენაზე, წარმოდგენილი უნდა იყოს ნოტარიულად დამოწმებულ ინგლისურ თარგმანთან ერთად.
- განაცხადი წარდგენილი უნდა იყოს ელ-ფოსტაზე: doctoralschool@iliauni.edu.ge კონკურსის ვადის დასრულებამდე. გთხოვთ წერილის სათაურში მიუთითოთ **„Application Ph.D. Scholarship”**.
- საკონკურსო დოკუმენტაცია (იხ. ქვემოთ VII.) უნდა დასკანირდეს, გაერთიანდეს და აიტვირთოს PDF ფორმატში (მიიღება მხოლოდ ერთი დანართის სახით!). სხვა ფორმატის ფაილები არ განიხილება.

• განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა **2019 წლის 12 ივნისი, 18:00 საქართველოს დროით (GET).**

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ განიხილება მხოლოდ სრულყოფილი და კონკურსის ვადებში მიღებული განაცხადები.

VI. შერჩევის პროცედურები

1. წინაშესარჩევი ეტაპი

მომავალი ხელმძღვანელების მიერ (ორივე უნივერსიტეტიდან) შეფასდება მხოლოდ სრულყოფილი განაცხადები, რომლებიც აკმაყოფილებენ ყველა ფორმალურ კრიტერიუმს. წინაშესარჩევი ეტაპი ეყრდნობა მხოლოდ წარმოდგენილ სააპლიკაციო დოკუმენტაციას. წინაშესარჩევი ეტაპის დასრულების შესახებ ყველა კანდიდატი მიიღებს ინფორმაციას ელ-ფოსტის საშუალებით. შემდეგ ეტაპზე გადასული კანდიდატები მიიღებენ მოწვევას გასაუბრებაზე მომავალ ხელმძღვანელებთან. მოწვევის მიღების შემდეგ კანდიდატებმა უნდა დაადასტურონ, რომ შეუძლიათ გასაუბრებაზე დასწრება.

2. გასაუბრებები

შემდეგი ეტაპი შედგება წინაშესარჩევ ეტაპზე შერჩეულ კანდიდატებთან პერსონალური ინტერვიუსგან. გასაუბრებები გაიმართება მომავალ ხელმძღვანებელთან პერსონალურად ან/და Skype-ის საშუალებით. გასაუბრებები სავარაუდოდ ჩატარდება 2019 წლის ივნისის მეორე ნახევარში.

3. საბოლოო შერჩევა

საბოლოო გადაწყვეტილებას კანდიდატის შერჩევასთან დაკავშირებით მიიღებს კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის საბჭო პროგრამის ქართველი და გერმანელი თანახლემძღვენელების რეკომენდაციის გათვალისწინებით. შედეგები გამოქვეყნდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე 2019 წლის ივნისის ბოლომდე.

4. დოქტორანტურაში მიღება

მას შემდეგ რაც კანდიდატი დაადასტურებს მიღებულ შემოთავაზებას, დაიწყება ჩარიცხვის პროცედურა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე*.

*იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი იქნება უცხოური (არაქართული) საგანმანათლებლო დოკუმენტაცია: გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამაში/სკოლებში ჩარიცხვა დამოკიდებულია რელევანტური აკადემიური ხარისხისა და მათი დანართების (ნიშნების ფურცელი, შეფასების სქემები და ა.შ.) აღიარებაზე საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ! მიღება ვერ განხორციელდება თუ ნებისმიერი მიზეზის გამო სერტიფიკატები და მათი დანართები არ იქნება აღიარებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

VII. მოთხოვნილი დოკუმენტაცია

სრულყოფილი აპლიკაცია უნდა შედგებოდეს შემდეგი დოკუმენტებისაგან*:

• შევსებული და ხელმოწერილი სააპლიკაციო ფორმულარი
• სამოტივაციო წერილი (მაქს. 2 გვერდი)

- საკვლევი გეგმა რომელიც უჩვენებს არჩეული თემის მნიშვნელობას და მოიცავს საკვლევ თემასთან დაკავშირებულ საკვლევ შეკითხვა(ებ)ს და აქტუალობა, მეთოდოლოგიას, სამუშაოს დროით გეგმას, წყაროებს, ლიტერატურას (მაქს. 10 გვერდი)
- CV რომელიც ხაზს უსვამს ნებისმიერ მეცნიერებასთან დაკავშირებულ უნარ-ჩვევას, წინა რელევანტურ კვლევებს, პროფესიულ თუ სხვა გამოცდილებას
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის ასლი
- შესაბამისი აკადემიური ხარისხის სერტიფიკატის/დიპლომის და მისი დანართების (ნიშნების ფურცელი, შეფასებისი სქემა და ა.შ.) ასლები; თუ დოკუმენტი ინგლისურის გარდა სხვა ენაზეა გაცემული, ნოტარიულად დამოწმებული ინგლისური თარგმანის წარმოდგენა ასევე სავალდებულოა
- მინიმუმ ორი აკადემიური რეკომენდატორის საკონტაქტო ინფორმაცია (რეკომენდატორი უნდა ფლობდეს მინიმუმ დოქტორის ხარისხს)
- აუცილებელია ენის ფლობა უცხო ენების ცოდნის საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) მიხედვით მინიმუმ B2 დონეზე. ენის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატებია: TOEFL (PBT მინიმუმ 550 points; IBT მინიმუმ 80 points); IELTS (მინიმუმ Band 6); FCE (მინიმუმ Grade A).
  - აპლიკანტები ვინც ვერ წარმოიდგინენ ზემოთ აღნიშნული სერტიპიკატებიდან ერთ-ერთს უნდა დაადასტურონ ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა ინგლისური ენის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში ჩასარიცხად. გამოცდის მინიმალური ბარიერია 65 ქულა 100-დან.
- **გერმანული ენის სამუშაო ენად არჩევის შემთხვევაში (მხოლოდ „რელიგიური და კულტურული კვლევების“ და „თეოლოგიის“ სამეცნიერო მიმართულებებისთვის აპლიკაციის შემთხვევაში):** აუცილებელია ენის ფლობა უცხო ენების ცოდნის საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) მიხედვით მინიმუმ B2.2 დონეზე. ენის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატებია: TestDaF (Test Deutsch als Fremdsprache); DSH (Deutsche Sprachprüfung für den Hochschulzugang); ZOP (Zentrale Oberstufenprüfung); KDS (Kleines Deutsches Sprachdiplom); GDS (Großes Deutsches Sprachdiplom).
  - აპლიკანტები ვინც ვერ წარმოიდგინენ ზემოთ აღნიშნული სერტიპიკატებიდან ერთ-ერთს უნდა დაადასტურონ გერმანული ენის B2.2 დონეზე ცოდნა გერმანული ენის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში ჩასარიცხად. გამოცდის მინიმალური ბარიერია 65 ქულა 100-დან.
  - გარდა ამისა წარმოსადგენია: ინგლისური ენის ფლობა უცხო ენების ცოდნის საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) მიხედვით მინიმუმ B1 დონეზე. ენის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატებია: TOEFL (PBT მინიმუმ 437 points; IBT მინიმუმ 41 points); IELTS (მინიმუმ Band 4); FCE **ან** შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატი-Certus, რომელიც ადასტურებს კანდიდატის ინგლისური ენის კომპეტენციას პროგრამით გათვალისწინებულ მინიმუმ B1 დონეზე.
  - აპლიკანტები ვინც ვერ წარმოიდგინენ ზემოთ აღნიშნული სერტიპიკატებიდან ერთ-ერთს უნდა დაადასტურონ ინგლისური ენის B1 დონეზე ცოდნა ინგლისური ენის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში ჩასარიცხად. გამოცდის მინიმალური ბარიერია 40 ქულა 100-დან.
- პუბლიკაციების სიის წარდგენა ნებაყოფლობითია.

***ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე. სხვა ენაზე გაცემული დოკუმენტები მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მიღებული, თუ ისინი წარმოდგენილი იქნება ნოტარიულად დამოწმებულ ინგლისურ თარგმანთან ერთად.**